14.11.2013 W-391

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

№ 531558 „12" 11 2013 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაციის (GRASS) დირექტორს
ბატონ სერგი კაპანაძეს
მის.: თბილისი, რაზმაძის ქ. N15
ტელ.: 2 22 29 43

ბატონო სერგი,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შემოსული თქვენი 2013 წლის 30 სექტემბრის N577 კორესპონდენციის (სამინისტროში რეგისტრაციის N436684, 02.10.2013) პასუხად გაცნობებთ, რომ 2010 წელს სახელმძღვანელოები განაწილდა 51815 ბენეფიციარზე და მათი სახელმძღვანელოებით დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა 391 011 სახელმძღვანელოს შესყიდვა. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი იმ ოჯახების მოსწავლეები, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 57001-ზე. 2011 წელს სახელმძღვანელოები განაწილდა 50 084 ბენეფიციარზე და მათი სახელმძღვანელოებით დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა 372 063 სახელმძღვანელოს შესყიდვა. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი იმ ოჯახების (7-12) კლასის მოსწავლეები, რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 57001, ასევე, იმ ოჯახების I-IV კლასსის მოსწავლეები, რომელთა სარეიტინგო ქულა მეტია 57000-ზე და ნაკლებია 70001-ზე.

რაც შეეხება 2012 წელს გაცნობებთ, რომ სახელმძღვანელოები განაწილდა 141 801 ბენეფიციარზე (42100 მრავალშვილიანი ოჯახის შვილები, 60 მოსწავლე - 2008 წლის ომში დაღუპულთა შვილები, 99641 სოციალურად დაუცველი) და მათი სახელმძღვანელოებით დაკმაყოფილების მიზნით განხორციელდა 991 045 სახელმძღვანელოს და 587 086 მოსწავლის რვეულის შესყიდვა. პროგრამის ბენეფიციარებს წარმოადგენენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი იმ ოჯახების მოსწავლეები, რომელთა ოჯახებისთვისაც სპეციალური ფორმის განაცხადის შევსების შედეგად, დადგენილი წესით შევსებული ოჯახის დეკლარაციის საფუძველზე, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად 2012 წლის 01 ივლისამდე მინიჭებული ოჯახის სარეიტინგო ქულა ნაკლებია - 70001-ზე.

პატივისცემით,
დავით ლომინაშვილი
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. 52
52 Dimitri Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia, www.mes.gov.ge
ტელ/Tel.: (+995 32)2 31 89 40